# სახალხო გაზეთი

№ 837 სამშაბათი, 5 მარტი 1913 წ. № 837

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



ტფილისი


## სახალხო გაზეთი
### ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა და სხვათა.**

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

**გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

---

ოთხშაბათს, 6 მარტს, გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## თამარა ხირსელოვის

სულის მოსახსენებლად კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ **მამა ივანე და დედა მარიამ ხირსელოვები შვილებით.** წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 139

---

1 მარტს გარდაიცვალა

## საბა ივანეს ძე კუკავა,

რასაც გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **მარიამ ივანეს ასული** და შვილები: **გრიგოლი მეუღლით, მიხეილი, ივანე, ნინო იოსავასი მეუღლით და შვილებით, კნ. ბარბარე ბაგრატიონ-დავიდოვისა მეუღლით, ანნა ზარუკაევისა შვილით, ელისაბედი მღებრიშვილისა მეუღლით და შვილით.** მიცვალებულის ცხედარს გამოასვენებენ დღეს, 5 მარტს, თავის ბინიდან (გუნიბის ქუჩა № 19) კალოუბნის ეკლესიაში, დილით $9^1/_2$ საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 138

---

## ახალი კლუბი
**შაბათს, 9 მარტს,**

## საოჯახო საღამო
### დირიჟორ ს. ი. პრესმანის საბენეფისოდ
თეატრში

### შესდგება სიმფონიური კრება
**ანატოლ მიკულის მონაწილეობით.**
დაწვრილებით პროგრამებში. 1092

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

## რეჟისორის ალ. რ. წუწუნავას ბენეფისი

**ოთხშ.**, 6 მარტს, სახ. სახ. არსებ. ქართ. სახ. წარმ. მმარ. წრ. მიერ წარ. იქნება

**რეჟისორის ალ. რ. წუწუნავას საბენეფისოდ**

## შეშლილები
პიესა 2 მოქმედებ. ტრ. რამიშვილისა.

2) **სადგური** (უკანასკნელი სცენა **„სოფლის გმირებიდან“**).

3) **პირველად ტფილისში „რომელი ერთი“** ტრ. ეპ. 1 მოქ. ტრილ. ეპიზოდი ნორმანდიელ რაინდთა ცხოვრებიდან, ბანკოს ბერძლისა, თარგ. მ. ქორელისა.

**მონაწილეობას მიიღებენ წრის ყველა სცენის-მოყვარენი და თანამშრომელნი.**

ბილეთ. ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** ქარ. სახ. მმართ. წრ. ადმინ. 1034

**ანონსი:** შემდეგი წარმოდგენა 10 მარტს.

---

## სარატოვის მექარხნენი სავაჭრო სახლი
## „ე. ე. მაიერ“

**ერევნის მოედ. „კავკაზის“ სასტუმროს ქვეშ.**

ვაუწყებთ პატივცემულ ჩვენს მუშტრებს, რომ შობის დღესასწაულების მსგავსად, ჩვენის მთავარ გამგეობის ნებართვით, კვლავ ვნიშნავთ

### საგაზაფხულო იაფ-ვაჭრობას შვიდის დღით

ე. ი. ამ წლის 27, 28 თებერ. 1, 2, 4, 5 და 6 მარტს, ნამდვილ ფასებიდან 20%—40% დაკლებით, სახელდობრ:

| | |
|---|---|
| აბრეშუმეულის სარპინკაზე ვაკლებთ 30% | ბამბაზიაზე . . . . . 30 „ |
| 20 გოჯ. ზეფირზე . . . 40 „ | ფუფაიკებზე . . . . . 30 „ |
| აბრეშუმისაზე . . . . . 30 „ | მაუდის საქონელზე . . . . 20 „ |
| შალეულობის ქსოვილებზე . . . 30 „ | აბრეშუმის შარფებზე ქალებ. . . 30 „ |
| ჩულქებსა და წინდებზე . . . 25 „ | პლუშის საბნებსა და სუფრებზე . 30 „ |
| თეთრეულსა და საყელოებზე . . 30 „ | საფარდე ტიულზე . . . . 30 „ |
| სხვა და სხვა ტილოზე . . . 20 „ | ქუთაისის ჩეჩუჩაზე . . . . 20 „ |
| ბამბაზიის ქსოვილებზე . . . 30 „ | შეკერილ კაბებზე ქალთათ. . . 25 „ |

ვიმედოვნებთ, რომ პატივცემული საზოგადოება პატივსა გვცემს და ჩვენს მაღაზიას ესტუმრება.

**პატივისცემით სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერ“** 1077

---

**ტელეფ. № 795.** ## ქართული თეატრი
წარმოდ. № 1.

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობა**

**დაკლებულ ფასებში** — ხუთშაბათს, 7 მარტს, — **დაკლებულ ფასებში**

წარმოდგ. იქნება **კონსტანტინე ბატონიშვილი** („ქეთევან წამებული“)

ალ. ყაზბეგის ისტორ. დრამა 5 მოქ.

**განახლებული ტანსაცმელები და დეკორაციები**

მონაწილეობას ღებულობენ ყველა ამხანაგები. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი **ვალ. გუნია.** მორიგი ამხანაგი **ვ. აბაშიძე.**

ამხანაგობა დაბეჯითებითა სთხოვს წარმოდგენაზე დამსწრეთ, დაიცვან წესიერება და უსათუოდ ბილეთებზე აღნიშნულ ადგილზე ისხდნენ. 1094

---

გამოვიდა და **იყიდება ახალი წიგნი**

## დ. თურდოსპირელისა,
## „სიმთა ქვითინი“. ლექსები და ნოველები

გამოცემა მ. გორდელაძისა. ფასი 10 კ. 1083

---

## საჭიროა აგენტი

ქ. გორში ჟურნალ-გაზეთების გამყიდველად. მისამართი: ტფილისი „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქცია, ბიუროს გამგე ე. გორდელაძე. 1082

---

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

## დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

**წამლობა ჭლექისა.** იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდილნაია ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე). 97

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ დროს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მაღალაშვილი ნ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| | **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.) |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და მშობიარე სნეულებანი. | **ექიმი-ქალი გერბილცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12 |
| | **თოკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვთა სნეულებ. | **ბედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. |
| | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. |
| | **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$ |
| | **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კანის სნეულ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. წ. 1035

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, **რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ. № 6.

---

Общество
Кахетинскихъ садовладѣльцевъ
„Кахетія“
въ Тифлисѣ
№

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

Уставъ общества утвержденъ въ 1895 г.

**რადგანაც ამ უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,**

### „კახეთი“-ს საზოგადოება

**საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოვეკიდებით სასამართლოს წესით.** 1054

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება საყმაწვილო წიგნები:**

ოქროს ფული. ლ. ფილავას გადმოკეთებული ქ. 1911 წ. ფ. 2 კ.
მოთხრობათა კრებული. ივ. ყიფიანის გადმოკეთებული ქ. 1911 წ. 2 „
იოანე სარდალი. ნათ. ი. ყიფიანისაგან ქ. 1912 წ. 3 „
მირიელ ეპისკ. ვიქ. ჰიუგოდან. ნათ. ჩერქეზიშვილისა. 2 „
სამი მოთხ.: ბიჩერ-სტოუ, გულკეთილი ებრაელი, ავია თუ კარგი. ნათ. დ. ნ—ვისაგან ქ. 1912 წ. 3 „
სინიდისის ხმა. ვ. ნ—ძესაგან გადმოკეთებ. ქ. 1911 წ. 2 „
სოფელი კურთხეულა. გადმოთარგმნილი არ. დადიანის ქ. 1911 წ. 3 „
მოგზაური. გამოკ. ლ. ელიავაშვილისაგან ქ. 1911 წ. 2 „
ცხოვრების გზა. ალ. ჯირაქამის თარგ. ქ. 1911 წ. 2 „

**ახალი წიგნები და სურათები:**

სიტყვანი დავით ეპისკოპოსისა. ტფ. 1912 წ. ფ. 10 კ.
Статьи и замѣтки по грузинскому церковному вопросу. პროფ. ა. ა. ცაგარლისა, პეტ. 1912 წ. ფ. 1 მან.
ვლ. მესხიშვილის სურათი დიდი 50 „
ქართ. არტისტ. ჯგუფის სურათი დიდი 50 „

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გამაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—$11^1/_2$ საათ.

**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფაცირჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“** 1053

---

**ელექტრონისა და რენტგენის**
**სამკურნალო**
## მიხ. ბედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გასინჯვა და გადაღებ.** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1027

---

**ექიმი** კბილისა **ნინო ფცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა. № 3. ს. დაბაშვილისა.

---

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციებ. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

---

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ ქ. № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ 102

---

## ქართული პრესა

„მერცხალში“ დაბეჭდილია „კერძო“ წერილი დეპუტატის ა. ჩხენკელის, რომელსაც ქვეშ ასეთი სარედაქციო შენიშვნა უწერია:

„ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ამ ცნობის გამოქვეყნება, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო დაუთავებელ განგაშს და დემაგოგიას ჩვენი დეპუტატების წინაამდეგ!“

რედაქცია, როგორც სჩანს, ღრმად ყოფილა დარწმუნებული, რომ ამ წერილით ბ-ნი ჩხენკელი სრულიად აქარწყლებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მისმა და მისი ფრაქციული ამხანაგების საქციელმა დასტოვა. ნამდვილად კი ჩხენკელის წერილი ჩვენს რწმენას უფრო აძლიერებს. აი, მაგალითად, რასა სწერს ბ-ნი ჩხენკელი თავის „კერძო წერილში“.

„მის თხოვნაზე კი უარი ვუთხარი ერთი იმიტომ, რომ **ჩვენ** შეკითხვას ჩვენ თითონ უკეთ დავიცავთ, ვინემ სხვა“.

ეს ერთი მიზეზი კვლავ ადასტურებს ჩვენს შეხედულებას, რომ ჩხენკელი ფრაქციულს ინტერესს საერთო ინტერესზე მაღლა აყენებს. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, მაშინ არ იტყოდა, ჩვენ შეკითხვას ჩვენ უფრო კარგად დავიცავთო. იმ მასალას, რომელიც მას ხელთა ჰქონდა, უსათუოდ გამოიყენებდა. შემდეგ გელოვანისთვის რომ მიეცათ საშუალება ლაპარაკისა, გელოვანის მასალა მხოლოდ გააძლიერებდა შეკითხვის ძალას. ჩხენკელმა ეს არ მოისურვა. ალბად იმიტომ, რომ „გამარჯვებაც და დამარცხებაც“ იმისი უნდოდა ყოფილიყო. მეორე მიზეზი უფრო საყურადღებოა.

„მეორედ იმიტომ,—სწუხს ბ-ნი ჩხენკელი,—რომ პირველ ორატორის (ვა) გამოსვლის შემდეგ ჩვენ ყოველთვის უნდა ვიცოდეთ ვინმე მავრაზმელის გამოლაშქრებას ჩვენს წინააღმდეგ და მაშინ კი მეორე ორატორის (ვა) გამოსვლა ჩვენი მხრით პირდაპირ აუცილებელია“.

თუ შეკითხვა სახალხო სკოლების შესახებ მხოლოდ ფრაქციული თვალსაზრისით არის საინტერესო, მაშინ, რა თქმა უნდა, თქვენი გამოსვლა აუცილებელი უნდა იყოს. მაგრამ თუ შეკითხვა თავის თავადაც რაიმე ღირებულებას შეადგენს, მაშინ ვინმე რუსის გამოსვლას სჯობდა გამოსვლა გელოვანისა, რომელსაც შეეძლო გამოექვეყნებინა დამატებითი ცნობები იმავ შკოლების შესახებ. მარქსისტულ მეცნიერებით განსწავლულმა ჩხენკელის გონებამ ესე არ განსაჯა. რატომ? ამის მიზეზს ბ-ნ ჩხენკელის მესამე საბუთეში ვნახავთ.

„მესამედ იმიტომ,—სწერს ბ-ნი ჩხენკელი,—რომ შეკითხვები თითქმის ერთად ერთი ასპარეზია ჩვენი ფრაქციის გამოსვლებისათვის და ადგილების სხვისთვის დათმობა, **თუ საპატიო მიზეზები არ გვექნება** (კურსივი ჩვენია), ჩვენის მხრით დიდი უაზრობა იქნებოდა“.

როგორც ჰხედავთ, ამ შეკითხვას თვით ჩხენკელიც ისე უცქერის, როგორც პარტიის სასახელო საშუალებას. ამაზე მეტი **ბრალდება** ჩვენ არც წამოგვიყენებია. ჩვენ ვამბობდით და ეხლაც ვამბობთ, რომ სოციალ-დემოკრატებმა შეკითხვა, როგორც რეალურ საჭიროებით გამოწვეული, ზვარაკად შესწირეს პარტიის განდიდებას და ფრაქციულ ქინიანობას. „თუ საპატიო მიზეზები არ გვექნება, ადგილს სხვას ვერ დაუთმობთო“, ბრძანებს ბ-ნი ჩხენკელი. სჩანს, სახალხო სკოლები და მისი ბედ-იღბალი არც იმდენად საპატიო მიზეზი ყოფილა, რომ იმისთვის პარტიული ინტერესი „გაეწირათ“ და მეორე ადგილი გელოვანისთვის დაეთმოთ? ჩვენც ამას მოგახსენებდით, და სწორედ გვიკვირს, როგორა ჰგონია „მერცხლის“ რედაქციას, რომ ამნაირის „განმარტებით“ ბოლოს მოუღებს განგაშს?

* *

იგივე „მერცხალი“ ანგარიშობს რამდენი ხმა მიიღო სომხებისა ჩხეიძემ წარსულ არჩევნებში და გვიმტკიცებს ტფილისის გუბერნიაში დემოკრატია ებრძოდა მსხვილ მემამულეებისაო. ამასთანავე დემოკრატია ჩხეიძეს მხარეს იყო და მსხვილი მემამულენი კი—ანდრონიკაშვილსაო. ჩვენ ერთხელ კიდევ გადავათვალიერეთ ის ცნობები, რომელიც ხელთა გვაქვს და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ჩხეიძემ 26 თეთრი ხმიდან თექვსმეტი სომხის ხმა მიიღო. ჩვენ შეგვეძლო გვარებით ჩამოგვეთვალა, მაგრამ ეს მეტად მიგვაჩნია. აღვნიშნავთ მხოლოდ კატეგორიებს. ამ თექვსმეტი ხმიდან ოთხი ხმა ეკუთვნის სოფლის ამომრჩევლებსა და მუშების წარმომადგენელს. 4 ხმა ეკუთვნის მსხვილ მემამულეთა წარმომადგენელს. დანარჩენთაგან, რომელნიც ქალაქის წარმომადგენლებს ეკუთვნიან, ორი ხმა ტფილისის მესამე საარჩევნო უბანს ეკუთვნის. კიდეც რომ ვიფიქროთ, რომ სხვანი ყველანი სოციალ-დემოკრატების სიით გავიდნენ, მაინც მივიღებთ ექვსს ხმას ისეთს, რომელიც სოციალ-დემოკრატების სიას არ ეკუთვნის და, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატების საკუთრებად ვერ ჩაითვლება. ანდრონიკაშვილმა 21 თეთრი მიიღო და 23 შავი. ეს ექვსი ხმაც რომ ანდრონიკაშვილისკენ წასულიყო, მაშინ არჩეული უსათუოდ ანდრონიკაშვილი იქნებოდა. მაგრამ მაზრისა და ქალაქის ბურჟუებმა კადეტი ანდრონიკაშვილს პროლეტარი ჩხეიძე ამჯობინეს და დეპუტატადაც ჩხეიძე იქმნა არჩეული. გვაქვს თუ არა უფლება ამის შემდეგ ვსთქვათ, რომ ჩხეიძე მემამულეებისა და ტფილისის პლუტოკრატიის მიერ არის არჩეული? თუ გვაქვს ამის უფლება, მაშინ გვიპასუხეთ, რა მოსაზრების ძალით შეეძლოთ ტფილისის ბურჟუა სომხებსა და მით უფრო მსხვილ მემამულეთა წარმომადგენლებს ხმა ჩხეიძესთვის მიეცათ? გვიპასუხეთ, თუ მოქალაქეობრივი გამბედაობა გაქვთ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **მეფის მოადგილის ავადმყოფობის გამო.** 2 მარტს ღამე მეფის მოადგილემ გრაფმა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა მშვიდად გაატარა, მხოლოდ არ უძინია. მაჯის ცემა ჰქონდა 78 წამში, სუნთქვა თავისუფალი. 3 მარტს დღისით ცვლილება არ მომხდარა. ღამე უძილოდ გაატარა. მაჯის ცემა—66 წამში. მოლხინობა ეტყობა.

✦ ტფილისში ჩამოვიდნენ მეფის მოადგილის შვილები: როტმისტრი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, ფლიგელ-ადიუტანტი ა. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, გრაფინია ა. ი. შუვალოვისა და მ. ი. მუსინა-პუშკინისა.

✦ პეტერბურგიდან მეფის მოადგილის ავადმყოფობის გამო ტფილისში საგანგებოდ ჩამოვიდა გამოჩენილი ექიმი შევჩენკო.

✦ **სად უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი.** როგორც ეტყობა, პოლიტეხნიკუმს ნავთლუღში არ ააშენებენ. ამას წინად ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა ნავთლუღი მოიარა და ქალაქის თვით-მმართველობის მიერ შეწირული ადგილი შეუფერებლად იცნო პოლიტეხნიკუმისათვის. ამ ხმოსნებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ პოლიტეხნიკუმისათვის უფრო შესაფერისია საბურთალო ან ვაკე, მაგრამ ამ აზრის განხორციელებას დღემდე ის გარემოება აბრკოლებდა, რომ ამ უბნებში ქალაქს თავისუფალი მიწა არა აქვს. ახლა ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ თავად-აზნაურობას დაუდგენია, შესწიროს პოლიტეხნიკუმს საბურთალოზე 100 დესეტინა მიწა, რომელიც ამ ჟამად 200,000 მან. ნაკლები არა ღირს. ამას გარდა საბურთალოს მემამულეებსაც, განურჩევლად ეროვნებისა, დაუდგენიათ, შესწირონ პოლიტეხნიკუმს 100 დესეტინა მიწა, რომელიც ამ ჟამად 300,000 მანეთამდე ღირს. შეწირული მამულები ამ დღეებში დამტკიცებულ იქნება მთავარ საუნივერსიტეტო კომიტეტის სახელობაზე. შემწირველთ მოლაპარაკება აქვთ სხვა მემამულეებთანაც, რათა პოლიტეხნიკუმს მათაც დაუთმონ 100 დესეტინა მიწა სასოფლო-სამეურნეო განყოფილების საჭიროებისათვის.

✦ **მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტი** წელს ფილოქსერის გამოკვლევას შემახის მაზრაშიც შეუდგება. სოფ. მატრასში, სადაური ღვინოც საკმაოდ განთქმულია, საცდელ-საჩვენებელ ვენახის გაშენებას აპირობს.

✦ **ტფ. სავაჭრო ბანკის** საორგანიზაციო კომიტეტმა მრავალი თხოვნა მიიღო სხვა და სხვა მხრიდან ბანკში ადგილის მიღების მსურველთაგან. თხოვნებს კომიტეტი ამ დღეებში განიხილავს. კომიტეტმა თითქმის დაასრულა ბანკის შენობის შეკეთება და განზრახვა აქვს, მარტის შუა რიცხვებში ბანკის აქციონერთა საერთო კრება მოიწვიოს ბანკის გახსნის დღის დასანიშნად.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობა წარსულ სეზონის ანგარიშის შედგენას შეუდგა. საზოგადოების წლიურ კრების მოწვევა მარტის შუა რიცხვებისთვის არის განზრახული.

✦ **რედაქციამ მიიღო** წ.-კ. გ. საზოგადების მიერ გამოცემული, **ნიკო ლომაურის** მოთხრობა „ელი“, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. წიგნის ფასი ორი შაურია.

✦ რედაქციამ ხარბინის ქართველობისაგან **ვლ. მესხიშვილის** იუბილეს გამო მისალოცი დეპეშა მიიღო.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 300 მან. ერთდროული **დახმარება** აღმოუჩინოს საქალაქო სასწავლებლების სამღვთო სჯულის მასწავლებლად ნამყოფს მღვდელს თებზაძეს.

✦ ქალაქის გამგეობას შესაძლებლად მიაჩნია გ. ი. მირზოევის მიერ დატოვებულ ფულით დაარსებულ **სტიპენდიათა** რიცხვი გაადიდოს. ამ საგნის შესახებ გამგეობამ საგანგებო მოხსენება შეადგინა საბჭოსთვის წარსადგენად.

✦ შინაგან საქმეთა ცირკულიარის თანახმად, **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** უკვე დაახადა წელს ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა სია, რომელსაც გამგეობის შენობაში 15 მარტამდე გამოჰკიდებს. სიაში შეტანილი არიან ის ახალგაზრდანი, რომელნიც 1913 წლის 1 იანვარს 20 წლისანი იყვნენ. თხოვნები შეღავათის აღმოჩენისა, ან შეცდომების გასწორების შესახებ ახალგაზრდებმა გამგეობას უნდა წარუდგინონ სიის გამოქვეყნების შემდეგ.

✦ **საბირჟო ცნობები.** 4 მარტს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 75 კაპ., აძლევენ—85 მან. 50 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მან. 75 კაპ., აძლევენ—82 მან. 25 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—77 მან. 75 კაპ., აძლევენ—77 მ. 25 კ.

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, ამიერ-კავკასიაში ამჟამად შვეიცარულ ყველის დამამზადებელი 69 ქარხანაა, რომელიც ყოველ წლიურად 72,165 ფუთ ყველს ამზადებს. ბორჩალოს მაზრაშია—37 ქარხანა, რომელიც 44,605 ფუთს ამზადებს, განჯის გუბერნიაში—4, ამზადებს—1,390 ფუთს; ყაზახისაში—1, ამზადებს—1,200 ფუთს, ახალქალაქის მაზრაში—3, ამზადებს—3670 ფუთს, არდაგანისაში—11, ამზადებს—10,180 ფ., კაგიზმანისაში—1, ამზადებს—1200 ფ., და ყარსის ოლქში—12, ამზადებს—9,926 ფუთს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** ამ ჟამად საზოგადოებაში აღძრულია საკითხი გორის მაზრის ვენახების შესახებ, სადაც ფილოქსერამ თითქმის სულ გაანადგურა ვაზები. ფილოქსერა იქ 20 წლის წინად გაჩენილა და დღესაც მძვინვარებს. ნივთიერ ხელმოკლეობის გამო ახალ ვენახების გაშენება იქ ამ ჟამად მეტად საძნელო საქმეა. თვითეული დესეტინა დაახლოვებით 600 მან. მოითხოვს. ზოგიერთს სპეციალისტს გამოურკვევია, რომ ქართლში არის ისეთ ჯიშის ვაზებიც, როდესაც ფილოქსერა ვერას აკლებს და რომლის შემწეობითაც გორის ვენახები აქა-იქ კიდევ დარჩენილა. რადგანაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სახსარი არა აქვს, სხვაფრივ დახმარება გაუწიოს მევენახეებს თანხის უქონლობისა გამო, ამიტომ აზრად აქვს, გაჰგზავნოს გორის მაზრაში სპეციალისტები, რომელნიც გამოარკვევენ, იქაურ ვაზში რომელი ჯიში უფრო უძლებს ფილოქსერას და რჩევას მისცემენ მცხოვრებთ, რათა თან-და-თან ასეთი ჯიშის ვაზები ჩაჰყარონ, სხვა ჯიშისა კი ნელ-ნელა განდევნონ. გორის მაზრის ვენახების საკითხის გადაწყვეტის დროს საზოგადოება მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტის წარმომადგენლებსაც მოიწვევს.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.** საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, 28 მარტს ქართულს თეატრში წარმოდგენა გამართოს საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად. საზოგადოების **ორ პრემიის** შესახებ მოგვყავს შემდეგი დაწვრილებითი ცნობები: საზოგადოებას აქვს ორი ხელ-უხლებელი თანხა: უგანათლებულეს თ-დ გრიგოლ დადიანის დატოვებული—4,000 მან. და ნ. ბ. ღოღობერიძისა—8,669 მან. პირველ თანხის სარგებლით ორ წელიწადში ერთხელ პრემია (400 მან.) უნდა მიეცეს საუკეთესო ნაწარმოების ავტორს, ხოლო მეორე თანხის სარგებლით პრემია (300 მან.) ყოველწლიურად უნდა მიეცეს. თხზულება უნდა შეეხებოდეს ქართულ ენასა, ისტორიას, გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას და ლიტერატურას და ან კავშირი უნდა ჰქონდეს საერთოდ საქართველოს შესწავლის საკითხთან. უპირატესობა მიეცემა ქართულ ენაზე დაწერილ თხზულებას. შეიძლებ თხზულების დაწერა რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზე. თხზულებანი შეიძლება იყოს ხელთ-ნაწერი და ან დაბეჭდილი იმ პირობით კი, რომ დაბეჭდილი უნდა იყოს 1910 წელზე არა ადრე. საკონკურსოდ წარდგენილ თხზულებათა გასარჩევად წ.-კ. გამგეობა საგანგებო კომისიას აირჩევს.

საზოგადოებას წიგნის მაღაზიაში და საერთოდ არსად აღარ იშოვება ბევრი ისეთი წიგნი, რომლისაც ამ ჟამად დიდი მოთხოვნილებაა. ეს წიგნებია: პროფ. პეტრიაშვილის „მეღვინეობა“, „ვისრამიანი“, „არჩილიანი“ შექსპირის „ოტელო“, „ჰამლეტი“ და „მეფე ლირი“, აკაკის „ბაში აჩუკი“ და სხვა.

✦ **მეხილეობის საზოგადოების** 7 მარტის კრება სარევიზიო კომისიის წევრებს აირჩევს და სხვა და სხვა მოხსენებას მოისმენს მეხილეობის შესახებ.

✦ 3 მარტს ქალაქის გამგეობის წევრის მ. ნ. ათაბეგოვის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისიის კრება მოხდა იმ საქველმოქმედო საზოგადოებათა თხოვნების განსახილველად, რომელნიც ქალაქისაგან შემწეობას იღებენ. კრებაში მონაწილეობას იღებდნენ უფროსი სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურე, საქმის მწარმოებელნი და ბუღალტერები. კრებამ საჭიროდ სცნო, წელს შემწეობა საზოგადოებას შესამჩნევად შეუმციროს. ამ საგნის შესახებ ქალაქის საბჭოს საგანგებო მოხსენებას წარუდგენს.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა № 2) მოხდება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრების საზოგადო ჩვეულებრივი კრება: საგანი კრებისა: 1) სტ. ალ. ხვანიძეს რეფერატი—„თქმულებანი ამაზონებისა და არგონავტების შესახებ და მათი ისტორიული სარჩული“ და 2) ახალი წევრების არჩევანი. კრებას გარეშეებსაც შეუძლიათ დაესწრონ.

## სასამართლო

✦ **ი. მჭედლიშვილის** ლიტერატურული საქმე, რომელსაც ბრალდებოდა 1908 წლის „დროების კალენდრის“ შედგენა და შიგ ნებადაურთველ წერილის მოთავსება, დანიშნული იყო გუშინ, 4 მარტს, მაგრამ 21 თებერვალს მანიფესტის ძალით სრულიად მოსპობილ იქმნა.

## სასწავლებლებში

✦ **ტფ. პირველ საკომერციო სასწავლებელში** გუშინ გაკვეთილებს დაესწრო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამოსწავლო ნაწილის ინსპექტორი ე. გ. ფეხნერი.

✦ გუშინ ახლად დანიშნულმა სავაჭრო-სამრეწველო სამოსწავლო ნაწილის საოლქო ინსპექტორმა ე. ფეხნერმა ინახულა ნ. ვ. აბრამიანის საბუღალტერო კურსები, გაშინჯა წიგნები, გამოჰკითხა მსმენელებს და დიდად კმაყოფილი დარჩა მათი პასუხით.

## ქუთაისი

✦ სამშაბათს, 5 მარტს, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი გამართავს ჩვეულებრივ მეცადინეობას **საღამოს კურსებზე.** მსმენელთა დიდ ყურადღებას იპყრობს ეგ. ნინოშვილის ბელეტრისტული ნაწარმოების გარჩევა. აგრეთვე მეტად საყურადღებოა გ. რობაქიძის ლექციები ბუნების მეტყველებაზე.

✦ ქუთაისის **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა** მოაგონებს ყველა იმათ, ვისაც კურსების 30 კ. გადასახადი თებერვლის ჯერ არ მოუტანია, დაჩქარებით შემოიტანონ.

✦ 27 თებერვალს მაძებარმა პოლიციამ შეიპყრო **კოლია იოსელიანი** თავის ნათესავის ბინაზე. საიდუმლო პოლიციამ ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ის საგუბერნიო სატუსაღოში გაგზავნა. დაპატიმრების მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **მუშათა დაზღვევის** საქმეთა ქუთაისის საკრებულოს წევრად ვაჭრობა-მრეწველობის უწყების განკარგულებით დაინიშნა სამთო ინჟინერი ა. გ. ცეიტლინი, ხოლო მის მოადგილეთ ინჟინერი ავდეევი და საპიცკი.

✦ **ქუთ. ქალთა წრემ** სამი ქალი აირჩია, რომელთაც ვლ. მესხიშვილს ადრესი უნდა მიართვან ქალთა წრის სახელით ქუთაისში იუბილეს გადახდის გამო.

✦ ქუთაისში მოელიან **ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელს,** კომერციული სასწავლებლების მთავარ ინსპექტორს.

✦ ბ-ნ ავერკიევი 4 მარტიდან შეუდგება ქუთაისის სამრევლო **სკოლების რევიზიას.**

✦ მგოსანი **აკაკი** ამ ჟამად ქუთაისშია.

✦ ქალაქის გამგეობის წევრად დაამტკიცეს სიმონ ქვარიანი.

## სოფლად.

✦ **წიფაში** (შორაპნის მაზრა). განზრახულია დაარსონ **მომხმარებელი საზოგადოება.**

# სასამართლო

### კამო ტერ-პეტროსოვის საქმე.

კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოში დაიწყო განხილვა კამო ტერ-პეტროსოვის საქმისა, რომელსაც ბრალდება 1907 წლის 23 ივნისში, ერევნის მოედანზე თავდასხმა, ყუმბარების აფეთქება, ორის პოლიციელისა და მასწავლებლის მოკვლა და 250 ათასი მანეთის გატაცება.

საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა.

ბრალდებულს იცავს ნაფ. ვექ. ანდრეევსკი. საქმის გარემოება თავის დროზე აღნიშნული იყო ყველა გაზეთში. ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ საქმემ თავის დროზე დიდი აურ-ზაური გამოიწვია. 1907 წლის 23 ივნისს, დილის 10 საათზე ფოსტიდან სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში ბანკის კასირს კურდიუმოვს გადაჰქონდა 250 ათასი მანეთი. მას თან ახლდა ხუთი ყაზახი და ორი საეროზო დარაჯი. როდესაც ეტლები ერევნის მოედანზე როტინოვის და გავრილოვის მაღაზიებს დაუპირდაპირდა, ქვაფენილის მარცხენა მხრიდან გადმოისროლეს ორი ყუმბარა, შემდეგ კიდევ ორი. საშინელი არეულობა მოხდა. მოედანზე ამ დროს ხალხი ცოტა იყო და ბევრი არ დახოცილა. როგორც გამოირკვა, სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი უცნობი დილიდანვე დასეირნობდა ერევნის მოედანზე და ხალხს მორიდებას ურჩევდა. არეულობაში ბოროტ-მოქმედებმა მიასწრეს ფულის გატაცება და დამალვა. მალე მთელ არე-მარეს ჯარი შემოერტყა, მაგრამ ბოროტ-მოქმედნი ვერ აღმოაჩინეს.

1907 წლის შემოდგომაზე გერმანიის მთავრობამ ბერლინში შეიპყრო უცნობი, რომელიც დიმიტრი მირსკის პასპორტით სცხოვრობდა. ჩხრეკის დროს მას მრავალი ასაფეთქებელი მასალა და რუსულ ენაზე დაბეჭდილი აუარებელი ნებადაურთველი წიგნები აღმოაჩნდა. პოლიციის დეპარტამენტმა დაამტკიცა, რომ მირსკის სახელით ტერ-პეტროსოვი სცხოვრობდა; პარტიაში მას „კამოს“ უწოდებდნენ, იგი დიდხან მუშაობდ სარევოლიუციო ორგანიზაციებში და სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც საუკეთესო მომწყობი სხვა და სხვა „სატეხნიკო საქმისა“. ტფილისში ყუმბარების ლაბორატორია მოაწყო. „კამომ“ ბევრ ექსპროპრიაციაში მიიღო მონაწილეობა, და სხვათა შორის, დიდ მონაწილეობას იღებდა ყვირილის ხაზინის გაძარცვის საქმეში 1905 წელს. ამ ფულით „კამომ“ და რუსმა ემიგრანტმა ვოლოხმა საზღვარ-გარედ შეიძინეს იარაღები, ასაფეთქებელი მასალები და საგანგებოდ დაქირავებულ გემით „ზარიათი“ გადმოჰქონდათ ვარნაიდან რუსეთში; მაგრამ გზაზე გემი დაიღუპა.

1808 წლის მარტში ქუთაისის ციხეში მყოფმა ტუსაღმა არსენ ქარსიძემ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს განცხადება გაუგზავნა, რომელშიაც ერევნის მოედანზე ექსპროპრიაციაში მონაწილენი დაასახელა. მას ბერლინში შეპყრობილ მირსკის სურათი აჩვენეს. ქარსიძემ ექსპროპრიაციის მოწყობაში „კამო“ ტერ-პეტროსოვი იცნო. გარდა ამისა განაცხადა, რომ გუმბრში გენერალი ალიხანოვის მკვლელობა ამანვე მოაწყოვო.

ბერლინში შეპყრობის შემდეგ ტერ-პეტროსოვს აღმოაჩნდა სულით ავადმყოფობის ნიშნები. ამის გამო ბერლინის ბრალმდებლის წინადადებით სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს ექიმებმა შეამოწმეს იგი. ექსპერტები გოფმანი და ლეპმანი იმ დასკვნას დაადგნენ, რომ ტერ-პეტროსოვი განუკურნებელი სულით ავადმყოფია.

1909 წლის 21 სექტემბერს გერმანიის მთავრობამ ტერ-პეტროსოვი რუსეთს გადასცა და იგი ჩამოიყვანეს ტფილისში 12 ოქტომბერს. კავკასიის ოლქის ჯართა მთავარ-მართებელის განკარგულებით ტერ-პეტროსოვი სამხედრო სამართალში მისცეს, მაგრამ სასამართლოში ისეთი შეუფერებელი პასუხები მისცა, რომ საჭიროდ დაინახეს მისი შემოწმება და ამის გამო მეტეხის ციხიდან მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში გადაიყვანეს.

14 აგვისტოს საღამოს 4 საათზე იგი გაიქცა და მხოლოდ 10 იანვარს შეიპყრეს „სევერნი ნომრების“ ქვეშ მდებარე ყავახანაში. იმის გაქცევის გამო სამართალში 9 კაცი იყო მიცემული და მათი საქმე ტფილისის სასამართლო პალატამ 23 თებერვალს გაარჩია.

სამხედრო სასამართლომ, უმაღლესი მანიფესტის გამო ბრალდებულს სასჯელი შეუმცირა და ოცი წლის კატორღა მიუსაჯა.

# საარქეოლოგიო საზოგადოების წევრთა კრება

შაბათს, 2 მარტს, კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში, მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება მოხდა. კრებაზე მ. ჯანაშვილმა წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „მეფე ირაკლის მონაწილეობა ნადირ-შაჰის ინდოეთზე გალაშქრებაში“. მომხსენებელი ვრცლად შეეხო იმ საბუთებს, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია და აგრეთვე ხელნაწერებსაც. ყველაზე საყურადღებო კი თვით მეფე ირაკლის ინდოეთიდან თავის დისადმი მოწერილი წერილი იყო. სამწუხაროდ, დედანი ხელნაწერისა აქ არ მოიპოვება. ე. ს. თაყაიშვილის მოსაზრებით, დედანი უნდა იყვეს შენახული ს.-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის საზიო განყოფილებაში. ბ-ნ ჯანაშვილს კი უსარგებლნია მარი ბროსეს თარგმანით და რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს საბუთი უნაკლო იყოს. მიუხედავად ამისა ეს წერილი იმდენად საუცხოვო და საყურადღებოა, რომ საჭიროა მისი დედანის ასლის გადმოღება და გამოქვეყნება. ეს წერილი ნათლად აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ 18 წლის ყმაწვილს სტრატეგიის საუცხოვო ცოდნა ჰქონია. ომის ისეთი აღწერილობა აქვს, რომ მკითხველს აღტაცებაში მოიყვანს. ამ წერილიდან სჩანს, რომ მისი დამწერი უკვე ეკუთვნის მსოფლიო ისტორიის საუკეთესო და უდიდეს სტრატეგებთა რიცხვს. კრებაზე დამსწრეთ სურვილი გამოსთქვეს, რომ გადაღებული იქმნას დედანის ასლი და მოხსენება დაიბეჭდოს.

# ქუთაისის აგ-კარგი

საფრანგეთის მოქალაქეს ტიბოს თავი მოაქვს, რომ იგი ჩვენს დაცემულ სამეურნეო კულტურას დახმარებას უწევს და ამასთან თავს უცოდველ პაპათ მიაჩნია. ის არ ერთხელ და ორჯელ გამოსულა სამწერლო ასპარეზზე და თავის რჩევა და დაკვირვება გაუზიარებია მეურნეთათვის.

ამის წინააღმდეგი ცხადია არავინ იქნებოდა, რომ მას სხვა მხრითაც არ ესახელა თავი. მკითხველმა უკვე იცის რა ალიაქოთი ასტეხა ტიბოს მიერ საფრანგეთიდან შემოტანილ ესრეთ წოდებულმა „ჟაკმენის სითხემ“ ვენახების საწამლებლად. ბ-ნი ტიბოსთვის, რომ ყური დაგვეგდოთ, იტყოდით იგი ქვეყნის მოკეთეა და სხვები, ვინც ჟაკმენის სითხეს აძაგებდა, ხალხის მტერნი და ამასთან უვიცნი იყვნენ. საგაზეთო პოლემიკა დღესაც არ გათავებულა და ვინ იცის რამდენ წერილს წავიკითხავდით ჟაკმენის სითხის შესახებ, რომ საქმეში არ ჩარეულიყო ქუთაისის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტი ბ-ნი ჰიქინაძის წყალობით.

ბ-ნ ჰიქინაძეს თავისი სამი ქცევა ($^9/_{10}$ დესეტინისა) ვენახი უწამლია ჟაკმენის სითხით და სარგებლობის მაგივრად, ხსენებულ სითხეს ცარიელზე დაუსვამს ვენახის პატრონი. მას მიუმართავს მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტისათვის: დაათვალიერეთ ჩემი ვენახი და ბ-ნი ტიბოს რჩევით გამოწვეული ზარალი აღნიშნეთო.

კომიტეტს გაუგზავნია თავისი სპეციალისტი ბ-ნი ბერეკაშვილი ვენახის სანახავად, მაგრამ რადგან თხოვნა დაგვიანებული იყო, ბ-ნ ბერეკაშვილს ჟერ აღუნუსხავს სავსებით ის ზარალი, რომელიც ბ-ნ ჰიქინაძეს მოსვლია, თუმცა ნახულიდან და გაგონილიდან ის დასკვნა გამოუყვა-

ნია, რომ ქაკმენის სითხეს სარგებლობის მაგივრად ვნება მიუყენებია მემამულისთვის.

აი ეს თხოვნა ბ-ნი ჰიჰინაძისა და ბ-ნი ბერიკაშვილის მოხსენება განუხილავს მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტს 27 თებერვალს და აქ დამსწრე მემამულეთ და მოხელეებს აღუნიშნავთ ის ზარალი, რომელიც მიუყენებია მემამულეთათვის ბ-ნ ტიუბოს მიერ შემოტანილ სითხეს.

ბ-ნ იოსებ გუნცაძეს უცდია ეს სითხე თავისა და მის მეზობლების ვენახში და იმდენად გაუფუჭებია ვაზი ნაქებ წამალს, რომ „არც ერთი მარცვალი ყურძენი აღარ შერჩენია იმ ვაზს, რომელიც ქაკმენის სითხით უწამლია იმ დროს, როცა ჩვეულებრივათ ნაწამლ ვაზს მშვენივრად ესხმია“.

იგივე ქაკმენის სითხე უცდია საქარის სანერგის გამგეს ბ-ნ გორაევს, რომელსაც წერილობით განუცხადებია კომიტეტის სხდომაზე, რომ ზარალის მეტი ბ-ნ ტიუბოს მიერ ნაქებმა წამალმა, არაფერი მოიტანაო.

ამავე სანერგის ქიმიკოსს ბ-ნ მოდებაძეს ქიმიური ანალიზი გაუკეთებია ქაკმენის სითხისათვის და აღმოჩენილა, რომ კრიპტოგამიულ სენს ვენახისას იგი ვერ განკურნავს და ზარალით-კი აზარალებს.

ამნაირივე აზრი (წერილობით) წარმოუდგენია კულაშის საცდელ მინდვრის გამგეს ბ-ნ ჯაფარიძეს.

ერთი სიტყვით, თვით ბ-ნ ტიუბოს გარდა, ყველას ერთი და იგივე აზრი შეუდგენია ქაკმენის სითხის შესახებ, მაგრამ ბ-ნი ტიუბო, რომელიც მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის წევრია, ცდილა დაერწმუნებინა კომიტეტის წევრნი, რომ მის მიერ ნაქები წამალი უებარია, ხოლო წინააღმდეგნი ამ წამლისა უვიცობის გამო ვერ ხედვენ მის კარგ მხარესაო.

მიუხედავად ამისა კომიტეტს თავის მსჯავრი გამოუტანია და დაუდგენია, რომ ქაკმენის სითხეს (ვიდრე სავსებით არ გამოირკვევა გამოცდილებით მისი სიკეთე), როგორც ვაზისთვის საწამლებელ მასალას), სახმარებლად ვერ ვურჩევთ მევენახეთ; თავის დადგენილებას ქაკმენის სითხის შესახებ ქუთაისის კომიტეტი აცნობებს თურმე სხვა კომიტეტებს, რომ სხვა რაიონების მევენახენი ისეთს შეცდომაში არ შევიდენ, როგორც იმერეთის მევენახენი.

ასე დასრულდა ქაკმენის სითხის გარშემო ატეხილი აურ-ზაური, თუმცა სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქუთაისის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტს არ უნებებია გამომზეურება (თავისი დადგენილების დაბეჭდვით) ამ ამბისა, რომ მევენახენი კვლავ შეცდომაში არ შეეყვანა ჩვენ მწყალობელ კულტურტრეგერ ბ-ნ ტუბოს.

ს. ე. კ.

## ვლ. მესხიშვილის იუბილე ქ. სოხუმში

22 თებერვალს, თავ. ნ. გ. თავდგირიძის თაოსნობით, სოხუმის ქართველობამაც დიდებულად იდღესასწაულა დაუვიწყარ ლადო მესხიშვილის იუბილე, თვით იუბილიარის მონაწილეობით.

მთელი სოხუმის ქართველობა მზადებაში იყო, რომ ღირსეული პატივი ეცა ღირსეულისა და უკვდავ მსახიობ ვლ. მესხიშვილისათვის.

22 თებერვალს საღამოს რვა საათზე ბლოიზის ახალი თეატრი უკვე გავსებული იყო ხალხით. ქართველების გარდა ბლომად იყვნენ: რუსები, სომხები, ბერძნები და სხვანი.

ცხრა საათზე ფარდა აიხადა. სცენა ცოცხალი ყვავილებითაა მორთული, შუა ადგილი ამაღლებულია, სადაც ძვირფას იუბილიარისათვის ცოცხალი ყვავილებით მორთული სავარძელია მომზადებული; მის გარშემო რიგზე შემომწკრიულია სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა დეპუტაციები, მომღერალთა გუნდი და სხვა.

კულისებში გამოჩნდა ძვირფასი იუბილიარი, რომელსაც თან ახლდა თავ. ნ. თავდგირიძე. მთელს თეატრში ძლიერი ტაშისცემა გაისმის, რომელიც დიდხანს არ სწყდება.

მომღერალთა გუნდი მრავალჟამიერს უმღერის, ამასვე იმეორებს სამხედრო მუსიკა. კვლავ ტაში.

პირველად ქართველი ხალხის სახელით, მშვენიერი სიტყვით მიესალმა ნ. გ. თავდგირიძე, შემდეგ ქალაქის თვით - ქართველობის სახელით მიესალმა ქალაქის თავის მოადგილე ზ. ა. დ. მაჭავარიანი, მას შემდეგ ადგილობრივი ქ. შ. წ. კ. გამავ. საზოგადოების გამგეობის სახელით მიესალმა ბ. ა. ი. ჯუღელი და სხვანი.

პატივცემულ იუბილიარს, სხვათა შორის, წარუდგენ: რუსების, აფხაზების, სომხების და ბერძნების დეპუტაციები, აგრეთვე წარუდგენ: ქართველ ქალთა წრის, ქართულ და რუსულ დრამატიულ წრეებისაგან, საიუბილეო კომიტეტისაგან ‰ სხვა.

დრო გამოშვებით იმღეროდა მომღერალთა გუნდი, და უკრავდა სამხედრო მუსიკა. საზოგადოება ყველა სიტყვებს აღტაცებით ეგებებოდა. იუბილიარს მიართვეს მრავალი ძვირფასი საჩუქარი.

ბოლოს იუბილიარი წინ წამოდგა და მოკლე, მაგრამ ძლიერ მოხდენილი, და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. კიდევ დაუსრულებელი ტაში.

იუბილიარმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა რუსულადაც. კიდევ ხან-გრძლივი ტაში. გუნდი იმღერის. ფარდა ეშვება. საზოგადოება არა სცხრება, იუბილიარი იძულებულია მრავალჯერ ეჩვენოს საზოგადოებას.

ამის შემდეგ წარმოადგინეს ქართულად „სამშობლოს“ უკანასკნელი სურათი და რუსულად იუბილიარმა წაიკითხა „შეშლილის წერილები“ გოგოლის.

საყვარელი იუბილიარი ძლიერ დაღალული და აღელვებული იყო. საზოგადოებამ დიდხანს არ დასტოვა თეატრი, რის გამოც, ძვირფასი იუბილიარი მრავალჯერ ეჩვენა საზოგადოებას.

იუბილეის წმიდა შემოსავალი რვაას მანეთამდე იყო.

საღამოს გათავების შემდეგ, ლადო მესხიშვილის პატივსაცემად, სასტუმრო „ორიანტალში“ გაიმართა ნადიმი, რომელსაც ოთხმოცამდე ქალი და კაცი დაესწრო.

იტ.

## პასუხი ბ-ნ ჯოხაძეს

გაზ. „მერცხლის“ 12 იანვრის ნომერში ვ. ჯოხაძის მიერ მოთავსებული იყო წერილი მოსკოვიდან — „ჩვენი დროის რაინდი“. ამ წერილში ბ-ნი ჯოხაძე მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტის ქართველ სტუდენტობას ჰყოფდა ორ ჯგუფად და რამდენადაც იგი ერთ ჯგუფს ქება-დიდებით იხსენიებდა, იმდენად მეორე ჯგუფს ამცირებდა ქართველ საზოგადოების თვალში. მიუხედავად ჩვენის ასეთ შეურაცხყოფისა, ყურადღებასაც არ მივაქცევდით ჯოხაძის აშკარა ცალმხრივ, ტენდენციონურ ხასიათის წერილს, რომ მისი თანამოაზრე ქართველი სტუდენტებიც არ იზიარებდნენ ბ-ნ ჯოხაძის წერილის შინაარსს!

ვინაიდან პირველად ამ ვაჟბატონებმა დაჰკრეს ბუკს, ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს პასუხად ორიოდე სიტყვა მაინც მივაწვდინოთ. სანამ ხსენებულ წერილში აღნიშნულ ფაქტების განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება ერთს გარემოებას მივაქციოთ. საქმე ის არის, რომ რუსეთის ქართველი სტუდენტობის მთლიანობა-ერთეული რუსეთის არც ერთ სასწავლებელში არ არის სავსებით დაცული. ხსენებული სტუდენტობა თითქმის, ყველა ქალაქებში დაყოფილია ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი შესდგება ეროვნულ იდეალთა მატარებელ ახალგაზრდობისაგან, ხოლო მეორე ისეთ პირთაგან, რომელთა ბუნება „ვიწრო ფარგალში“ არ ეტევა, ჰსურთ გახდენენ მსოფლიო მოქალაქე. სამშობლოდან გადმოხვეწილ მოსწავლე ახალგაზრდობის ჯგუფ-ჯგუფად დაქუცმაცების მაგალითი ცოტა არ მოიპოვება. აიღეთ თუნდ ისევ გაზ. „მერცხლის“ ხსენებული ნომერი; იქ მკითხველი აღნიშნულ წერილის გარდა, ჰნახავს მეორე წერილსაც, სადაც დორპატის ქართველ სტუდენტობის ერთ ჯგუფს ეკუთვნიან; მოიგონეთ კიევის ქართველ სტუდენტების ერთი ჯგუფის წერილი გაზ. „პრავდაში“, რომლითაც ხოტბას ასხავდა ხსენებული ჯგუფი ბ.ბ. ჩხეიძესა და ჩხენკელს. ესა და მრავალი სხვა მაგალითები ნათლად მოწმობენ, რომ რუსეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა დღეს-დღეობით დაყოფილია ჯგუფ-ჯგუფად. ამ საერთო კანონის გავლენის ქვეშ, რასაკვირველია, მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის ქართველი სტუდენტობაც არის. აქაც გაყოფილია ქართველი სტუდენტობა ორ ჯგუფად! როდესაც ვამბობთ, რომ რუსეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა ჯგუფ-ჯგუფად არის დაყოფილი, ვგულისხმობთ, რომ ჯგუფობრივი დაყოფა ქართველი სტუდენტობისა აღმოცენებულია იდეიურ ნიადაგზე. ესევე არ შეიძლება ითქვას სავსებით ჩვენი კომერციული ინსტიტუტის ქართველ სტუდენტობაზედაც! რასაკვირველია, როგორც ვსთქვით, უმთავრეს ლეიტ-მოტივად ხსენებულ ჯგუფთა ასეთი დაპირდაპირებისა უნდა ჩაითვალოს მათ შორის მომხდარი იდეიური განხეთქილება, მაგრამ აქ მოსკოვის კომერც. ინსტიტუტის ქართველი სტუდენტობის შორის ერთი ფრიად საგულისხმო გარემოება იქცევს ადამიანის ყურადღებას. საქმე ის არის, რომ ჩვენი ინსტიტუტის დასელები (ერთი ჯგუფი) რაღაც მტრულის თვალით უყურებენ თავიანთ იდეურ მოპირდაპირეთ; არავი არი კეთილშობილური განზრახვა, ადამიანური გრძნობა მათ თავში არ გაუვლით თავიანთ, იდეიურ მოწინააღმდეგეთა მიმართ! ეს ვაჟბატონები სრულიად ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ მათთან ერთად ინსტიტუტის კედლებთა შორის იმყოფებიან სულით და გულით ქართველი ახალგაზრდები, აღსავსენი კეთილ-განზრახვით მამულისადმი, მისი ინტერესების მხურვალე მატარებელნი!

შეშლილნი ორ-სამ სიტყვაზე: „შოვინისტები“, „რაინდები“ და სხვა—ეს ვაჟბატონები აღტყურვილან ამ ჯგუფისადმი წინააღმდეგ და ყოველ-გვარ ღონის ძიებას ხმარობენ საზოგადოების თვალში ცილი დასწამონ, დაამცირონ, სახელი გაუტეხონ, ჩირქი მოსცხონ.

რა არის ბ-ნ ჯოხაძის ხსენებული წერილის კილო და ცრუ დებულებანი, თუ არა საზიზღარი ცილისწამება, დემაგოგობის სუნი უდის ბ-ნ ჯოხაძის წერილს!

პირველ ყოვლისა მოგახსენებთ, ბ-ნო ჯოხაძე, რომ ის ჯგუფი, რომელიც თქვენ გაზ. „მერცხლის“ ფურცლებზე შეურაცხყავით, გაუწყებთ: ამხ. საყვარელიძის შეხედულებას გეგეჭკორზე და ჩხეიძეზე, როგორც მთავრობისა და პურიშკევიჩების მონებზე, არ ვიზიარებდით და არც ვიზიარებთ; პირიქით ჩვენ ვამბობთ: სხვა რამე სიკეთე თორემ გეგეჭკორსა და ჩხეიძეს მონობას ვერ დავსწამებთ; ეს მათი „სხვა რამე სიკეთე“ კი ქართველმა საზოგადოებამ უკვე შეიგნო და აკი ამ ბოლო დროს ჯარაც ცოტაოდენ გაბრუნდა! და მომავალში, ვგონებთ, ჯარა, დღეს ოდნავ მობრუნებული, სრულიად გასწორდება და მაშინ, დღეს სანატრელი ცხოვრება საქართველოის სასურველ მიმდინარეობას მიიღებს! და თუ ამ გარემოებას ჩვენ ინსტიტუტის კედლებშიაც კი სიხარულით ვიხსენიებთ, რა, უყოთ რომ თქვენ ეს გეხამუშებათ.

რაც შეეხება კრებიდან წამოსვლას, უნდა მოგახსენოთ, უკეთ ვსთქვათ— მოგაგონოთ, ბ-ნო ჯოხაძე, რომ ხსენებული კრების შემთხვევითმა უმრავლესობამ ისეთი სასტიკი დესპოტიზმი გამოიჩინა კრების შემთხვევითი უმცირესობისადმი, რომ ამ უკანასკნელს იქ აღარ დაედგომებოდა! სიტყვის თქმის უფლების წართმევიდან, პურთის პირში ჩაჩრამდე, ნებას არ გვაძლევდა ხსენებული კრების უმრავლესობა გვეპასუხნა, როდესაც გვლანძღავდნენ და გვამცირებდნენ! თქვენ თქვენებურად სჭრიდით და ჰკერავდით კიდეც და ჩვენ რაღა საჭირო ვიყავით, ერთად ერთი საშუალება ჩვენი იმ კრებიდან წამოსვლა იყო და წამოველით კიდეც!

დასასრულ თქვენს წერილში ბრძანებთ: „დაწყებული კრებაზე მოსვლის უარის თქმიდან თითქმის პოლიციამდეც კი მივიდნენ; ყოველ შემთხვევაში მათ, ესე იგი, ჩვენმა ჯგუფმა, — ასეთი საზიზღარი საქციელი ჩაიდინეს. იმ ამხანაგმა რომელთანაც უნდა შევკრებილიყავით, კრების დღეს მიიღო სამ კაპ. ღია ბარათი შემდეგი შინაარსით: „პოლიციამ იცის კრების შესახებ... საშიშა შეკრება... (ავტორის უკეთ ვსთქვათ, ავტორების ფიზიონომია თვითეულ სიტყვაში ნათლად გამოსჭვივის). მართლაც ეს წერილი შეიძლება ჩავარდნოდა ხელში ვისაც ჯერ არს და წერილის ავტორთა საზიზღარი და სახიფათო აზრი გამართლებულიყო“...

შეურაცხყოფა ამაზე შორს ველარ წავა, ბ-ნო ჯოხაძე! თქვენ გადაჭრით ამბობთ, რომ იმ წერილის ავტორნი ჩვენა ვართ, თქვენი მოპირდაპირე ჯგუფი და რომ ჩვენის წყალობით შესაძლო იყო „წერილი ვისაც ჯერ არს ხელში ჩავარდნოდა და ავტორთა საზიზღარი და სახიფათო აზრი გამართლებულიყო“! აი აშკარა დემაგოგობა, ბ-ნო ჯოხაძე! განა ამის შემდეგ გეთქმით, რომ თქვენც შეგიძლიანთ და გჩვევიათ იდეური მოპირდაპირეთა პატივის ცემა? არა, ბ-ნო ჯოხაძე, მტრობა-შურიანობით დაბრმავებულ ადამიანს სხვისი პატივისცემა არ შეუძლიან. თუმცა არ გვაკვირვებს თქვენი ასეთი გამოლაშქრება ჩვენს წინააღმდეგ! გახსოვდეთ კი, რომ ასეთი საქციელი ყოველთვის პასუხსაგებია!.

ინი—ძე.

## სოხუმელ ექიმის გამტაცებლის შეპყრობა

ერთი ხანია თურმე ერთი ახალგაზრდა კაცი ქუთაისში ძვირფასს ნივთებს ყიდულობდა ერთი ახალგაზრდა ქალის თანხლებით. ამას, რასაკვირველია, ყურადღებას არავინ მიაქცევდა, რომ ერთი გარემოება არ მომხდარიყო. აზოვის ბანკში მიიტანა ვაჭარმა ვექსილის გასანაღდებლად ფული, საცა ერთი ათ-თუმნიანი ერია. ფულის მიმტანი ვაჭარი მცირე ხანს შეაჩერეს და პატარა ხანს უკან პოლიცია გაჩნდა და შეეკითხა მას, ვინ მისცა ხსენებული ათ-თუმნიანი.

დაასახელა ვაჭარი ბუხბინდერი. ამ უკანასკნელმა უპასუხა პოლიციას, რომ ათ-თუმნიანი დაახურდავა ჩემთან ერთმა ახალგაზრდამ, რომლის გვარი არ ვიციო. დაუწყეს ძებნა და კვლევა და აღმოჩნდა, რომ ათი თუმნის დამხურდავებელი ფოთს წავიდა. დაედევნენ მას და სწორედ იმ დროს მიასწრეს ფოთში, როცა ის გემით აპირებდა გასვლას. გაჩხრეკის შემდეგ აღმოაჩნდა მას ოქროს ფული, რომელთაც განსაკუთრებული ნიშანი აღმოაჩნდა.

ეს ნიშანი დაუდვია ამას წინად სოხუმში გატაცებულ ექიმის ცოლს იმ ფულისათვის, რომელიც თავის ქმრის გამოსაცდავად მიუცია ბოროტ-მოქმედთათვის. ამ ნაირივე განსაკუთრებული ნიშანი აქვს თურმე იმ ათ-თუმნიანისაც, რომლის დახმარებით აღმოჩნდა ერთი მონაწილეთაგანი ექიმის მოტაცებისა სოხუმში. სოხუმში დაჭერილი ყოფილა კილაბერია და ფულის გასასაღებლად აურჩევია ქუთაისი.

## მოწერილი ამბები

**დაბა სუჯუნა.** დაბა სუჯუნა წარმოადგენს პატარა კუთხეს მოფენილს სასწავლებლებით; აქ შეხვდებით: ორ ორ კლასიან სასწავლებელს და ორ ერთკლასიან სასწავლებელს, რომელნიც ერთი მეორეზე დაშორებულნი რამდენივე საჟენით. ამ საზოგადოებაში არის კიდევ ორი ორკლასიანი სასწავლებელი. სულ ამ სასწავლებლებში 15 მასწავლებელია. მათ გარდა ამ საზოგადოებაში ინტელიგენტთა რიცხვი საკმარისია, რომელთა სულიერ საზრდოთ მიაჩნიათ ჟურნალ-გაზეთების კითხვა. უკანასკნელი ხარაზი, რომელსაც ქართული წერა-კითხვა შეუსწავლია, დიდის აღტაცებით დაეძებს გაზეთებს და დაინტერესებული კითხულობს. ამ ხარაზსაც თავისთვის გამოწერილი აქვს ერთი გაზეთი. სასიამოვნო სანახავია, როდესაც ხედავ სახარაზოს წინ, გაზეთით ხელში და თავდავიწყებით მკითხველს. მას გარშემო შემოხვევია შეგირდები და მედუქნეები და ყურს უგდებენ.

სამი-ოთხი წლის წინედ სუჯუნის ინტელიგენციამ მოინდომა სამკითხველოს გახსნა და, მართლაც მიაღწია მიზანს. შეაგროვეს ორიოდე გროში, შეაკეთეს ერთი პატარა ქოხი, აუცილებელი საჭირო ნივთებიც შეიძინეს: სკამი, სტოლი, შკაფი, ლამპა და სხვა, ორი-სამი გაზეთიც გამოიწერეს, და ასე გაჩაღდა სამკითხველო. სამკითხველოში ხშირად ნახავდი მოზრდილთაც და პაწია ყმაწვილებსაც—მოწაფეებს.

გაიარა რამდენიმე წელმა. სუჯუნის საზოგადოებაში გაიხსნა საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც მოთავსდა ამ სამკითხველოს ქოხში; ამ ამხანაგობის გამგეებმა აღუთქვა ადგილობრივ ინტელიგენციას გაზეთების გამოწერა ამ დაწესებულების ხარჯით. ამ გვარათ, სამკითხველოს საქმე უმჯობესდებოდა. თუმცა გაზეთები გამოწერილი აქვთ, მაგრამ სამკითხველოში იშვიათად ჰნახავს კაცი ახალ გაზეთს.

კარგი იქნება თუ საკრედიტო ამხანაგობის გამგეები გაზეთს თავის ალაგას დასტოვებდნენ, რომ ხალხმა იკითხოს.

„ინტელიგენტი“.

## სხვა და სხვა ამბავი

**მოწაფე პუანკარე.** 17 მარტს პარიზი მოწმე შეიქნება შემდეგი ამბისა. კონდორსეს სახელობის ლიცეიში, სადაც პუანკარე სწავლობდა, შეიკრიბებიან მისი მოწაფეობის დროინდელი ამხანაგები. ყველა, და მათ რიცხვში საფრანგეთის პრეზიდენტიც, დაჯდება თავთავის ადგილს, ხოლო მათი მოხუცი მასწავლებელი, რომელიც დღესაც იმავე ლიცეიში მასწავლებლობს, გამოსცდის მათ. ერთი წუთით საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი გიმნაზილად გადაიქცევა. საინტერესოა ის მომენტი, როდესაც მასწავლებელი გამოუძახებს მას:

— მოწაფევ პუანკარე, ადექით! გამოცდა გარეშეთა დაუსწრებლად მოხდება. ახალ გაკვეთილს არ მისცემენ; ყველამ უნდა დაიცვას ის თემა, რომელიც 1876 წ. კურსის დასრულებისას დაუწერია.

## საკანონმდებლო დაწესებულებებში

**დეპეშები.**

ბექვდითი საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ შილგინი აირჩიეს, ამხანაგად—ბუბინსკი, მდივნად რატკევიჩი.

მუშა საკითხის კომისიის თავმჯდომარედ პროგრესისტი კონოვალოვი აირჩიეს, ამხანაგად—ოქტომბრისტი როძიანკო, მდივნად—კადეტი სტეპანოვი.

ოქტომბრისტებმა და პროგრესისტებმა შეიტანეს საკანომდებლო მოსაზრება სახელმწიფო სათათბიროს საბჭოს წევრთა უპასუხმგებლობისა.

შრომის ჯგუფმა შეკითხვით მიჰმართა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სამხედრო, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ‰ ვაჭრობის მინისტრებს ერთის წლის წინად ლენის ოქროს სამრეწველოში უკანონობის მოხდენის და დამნაშავეთა სამართალში მიუცემლობის თაობაზე.

სათათბიროს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ შრომის ჯგუფის მიერ შეტანილი საკანონმდებლო მოსაზრება ამნისტიის თაობაზე ეწინააღმდეგება ძირითად კანონების 23 მუხლს, რომლის თანახმადაც დას ჯილთა პატიება ექვემდებარება მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორს. ამის თვის პრეზიდიუმმა დაადგინა, აღნიშნული მოსაზრება არც განიხილოს და არც მოახსენოს სათათბიროს.

ოქტომბრისტებმა შეკითხვა შეიტანეს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. მოხსენდა თუ არა, სამხედრო მინისტრს, რომ ლენის მუშათა მღელვარების დროს უადგილოდ მოხმარებული იყო ტყვიის მსროლელი იარაღი; მოხსენდა თუ არა, ვაჭრობის მინისტრს, რომ ლენის ამხანაგობის ურთიერთობა მუშებისადმი არ შეესაბამება კანონს; რა ზომის მიღებას აპირებენ ისინი დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად.

## ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

2—3 მარტი.

**სალონიკი.** სერბიელების დიდი რაზმი, რომელიც სკუტარზე იერიშის მისატანად არის გაგზავნილი. გემებში ჩასხდა.

**ათინა.** დეპუტატთა პალატაში გარეშე პოლიტიკის შესახებ შეკითხვა შეიტანა გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფმა კალერგისმა. შემკითხველმა აღნიშნა საბერძნეთისათვის ეგეის კუნძულთა საჭიროება და ასძინა, რომ სერბიასთან მეგობრული განწყობილება თავდებია ყოველ მიმდინარე საკითხის სასურველად გადაწყვეტისაო.

**ათინა.** გაზეთ „ხრონოსის“ რედაქტორს რვა თვით ციხე მიუსაჯეს ბულგართა წინააღმდეგ მიმართულ წერილის დაბეჭდვისათვის.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავარსარდალმა თანამდებობიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა. თხოვნა ჯერ არ შეუწყნარებიათ. მის მოადგილეთ ასახელებენ მაჰმუდ-ფაშას, თურგუთ-ფაშას და ახმედ-ფაშას.

**ალექსანდრია.** მოვიდა ჯავშნოსანი „ჰამიდიე“.

**ათინა.** ბერძნება კუნძული სამოსი აიღეს.

**სოფია.** 27 თებერვალს ბულგარეთის მზვერავმა რაზმმა სოფელ აკელანის დასავლეთით სანგარი დაიჭირეს. ოსმალეთის გაძლიერებული რაზმი შეეცადა განედევნა ბულგარები, მაგრამ უკუქცეულ იქნა. ოსმალებს მოუკლეს და დაუჭირეს 300 კაცი.

ადრიანოპოლიდან მრავალი ჯარის კაცი გამორბის და ჰნებდება ბულგარებს. ყოველ დღე 50—60 კაცი ოსმალო გამორბის ადრიანოპოლიდან. გალიპოლთან მშვიდობიანობა მოუ... ფევს.

**სოფია.** საერო კრებაზე ცხარე კამათი გამოიწვია გეშოვის დეკლარაციამ. ოპოზიციას საზოგადოდ აკმაყოფილებს გეშოვის განცხადება, გარნა იგი არ იზიარებს მთავრობის ოპტიმიზმს. ოპოზიციამ სასტიკად დაჰგმო ბერძნების და სერბიელების საქციელი ბულგართა მიმართ. ამგვარი მოვლენა, როგორიც არის დაპყრობილ ადგილებში ბულგარების სკოლის დაკეტვა, მონასტრებზე ძალადობის ჩადენა, მთავრობის ჩარევა საეკლესიო საქმეებში, ცხადი ქადაგება ბულგარეთის ეროვნების წინააღმდეგ, სისხლის მღვრელი შეტაკება სუბოტკაში, ჩაიაზში, ნიგრიტში და სხვა, იმასა ჰმოწმობს, რომ არსებობს გარკვეული სისტემა ბულგარეთის ერის წინააღმდეგ მიმართული და იმას ამტკიცებს, რომ კავშირის და ომის მიზანი,—ევროპის ოსმალეთში ქრისტიანთა ინტერესების დაცვა, შეიცვალა მიწა-წყალის გაფართოვების მისწრაფებით. აღტყინებული შოვინისტური ვნებანი ფრიად საშიშ საფრთხეს უქადიან კავშირს. ოპოზიცია მოუწოდებს მთავრობას ენერგიულად დაიცვას ბულგარეთის ერის ინტერესები.

**ათინა.** ლადოხი დეპეშით იტყობინება, რომ ქვეითი ჯარის მერვე დივიზია ცხენოსანთა პოლკითურთ დელვინიკიდან იმ ადგილზე მიაღწია, სადაც დელვინოს და არგიროკასტროს გზები იყრება. მოპირდაპირეს მოწინავე ჯარი, არნსტას მახლობლად ბერძნების მიერ უკუქცეული იქნა. ბერძნებმა ორი ბატალიონი 30 ოფიცრით და 1,570 ჯარის კაცით ტყვედ წაიყვანეს.

**ათინა.** დეპუტატთა პალატაში ვენიზელოსმა პროტესტი განაცხადა უპასუხმგებლო პირთა განკარგულების წინააღმდეგ, რითიც ბერძნებს აღმოსავლეთ მაკედონიაში ‰ ფრაკიაში ერეკებიან. ვენიზელოსმა სთქვა, რომ საბერძნეთმა წინდაწინვე ხელი აიღო ფრაკიაზე, არა მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ მისთვის, რომ ამ მსხვერპლის შეწირვას გეოგრაფიული მოსაზრებანი გვიკარნახებენო. მოკავშირეთა ურთიერთ დამოკიდებულების თაობაზე ვენიზელოსმა განაცხადა, რომ ანექსიის საკითხში უეჭველად უნდა წარმოშობილიყო შეფერხებანი, რადგანაც ყოველ ხალხის ეროვნული ალღო უკარნახებს რაც შეიძლება მეტი მოითხოვოს, მეტად ისარგებლოს, იმ მოსაზრებით, რომ ყველაზე მეტი მსხვერპლი სწორედ ამა თუ იმ სახელმწიფომ შესწირაო. ჭეშმარიტება კი იმაშია, რომ ყოველმა სახელმწიფომ ერთნაირად დახარჯეს ბრძოლაში ენერგია და ძალნი. ტერიტორიის დანაწილება, ვენიზელოსის აზრით, პასუხისმგებელ მთავრობის საქმეა, და არა ადგილობრივ მთავრობისა და შოვინისტებისა. მთავრობა ამ საკითხში სამართლიანობას გამოიჩენსო.

### გაზეთებიდან

**ადრიანოპოლის ალყა.**

სარწმუნო ადგილებიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს ბოლო მოუღონ ომის გაჭიანურებას. ამიტომ ბრძანება გასცეს, ომის ყველა ასპარეზზე ენერგიული მოქმედება დაიწყონ. დაიწყო აგრეთვე გადამწყვეტი იერიში ადრიანოპოლის ციხისა; ბულგარელებმა გაითან-იარეს სიმაგრე აიღეს. ამბობენ, რომ ადრიანოპოლის დაცხობის შემდეგ ბულგარეთის პირველი ჯარის მთავარსარდალი, გამოჩენილი რადკო დიმიტრიევი რუსეთს გაემგზავრება საგანგებო მინდობილებით.

**საბერძნეთის ჯარი.**

საბერძნეთის ჯარს ებრძანა, დაიპყრას ეპირი და ალბანეთი ქ. ვალონამდე და პრესპის ტბამდე. მოხეტიალე კრეისერ „ჰამიდიეს“ საძებრად წავიდა საბერძნეთის ფლოტილია.

**კრეისერი „ჰამიდიე“.**

ოსმალეთის ჯავშნიანი კრეისერი „ჰამიდიე“ მოულოდნელად მიადგა სან-ჯიოვანი-დიმედუას ნავთსადგურს და სროლა აუტეხა. სროლის დროს ნავთსადგურში დაიჭრა ასამდე სერბიელი.

## ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

2—3 მარტი.

**ათინა.** გარეშე საქმეთა მინისტრმა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გადასცა პასუხი ევროპის წინადადებაზე.

**ბელგრადი.** დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ჩაბარებული აქვთ საპასუხო ნოტა.

**ცეტინიე.** დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა თხოვნით მიჰმართეს მთავრობას, ნება მიეცა არა მეომართათვის სკუტარიდან გამოსვლისა. მთავრობამ სტრატეგიულის და პოლიტიკურის მოსაზრებით უარი შეუთვალა. სკუტარიდან გამოსვლის ნება მიეცემათ მხოლოდ ელჩებს და დიდ სახელმწიფოთა ქვეშევდომებს.

**ბელგრადი.** „ჰამიდიემ" რომ ყუმბარების სროლა აუტეხა სან-ჯიოვანი-დე-მედუას, ალესიოს და ადრიატის სანაპიროებს, ამაში, სერბიის პრესის აზრით, ავსტრიის ხელი ურევიაო. ჩერნოგორიიდან მოსულ ცნობებით ირწმუნებიან, რომ „ჰამიდიე" ავსტრიის დროშიანი მოცურავდა და ავსტრიის გემებთან ერთად ოტრანტის სრუტეში შეიჭრაო.

**ვენა.** გაზეთი „ცაიტს" ბუდაპეშტიდან ატყობინებენ, რომ 1909 წლის სათადარიგო ჯარის-კაცებს უკვე ითხოვენ ლაშქრიდანო.

**სოფია.** საერთო კრება შეუდგა ბულგარეთ-რუმინიის დავისა, საშვიდობო მოლაპარაკების და სხვა საკითხების განხილვას. პირველმა შემკითხველს, ბულგარეთის დობრუჯის დეპუტატმა, დაჰგმო რუმინიის საქციელი და წაიკითხა 19 მოსაზღვრე სოფლის მოწოდება, რითაც უკმაყოფილებას აცხადებენ რუმინიის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ. დეპუტატი სპისარევსკი საბუთებით ამტკიცებდა, რომ რუმინიის მემორანდუმში, რომელიც ბერლინის კონგრესზე წარადგინეს, სილისტრიის თაობაზე არაფერია ნათქვამი და თუ იმ საბუთზე დავემყარებით, ბულგარეთმა არამც თუ ვისმე რამე უნდა დაუთმოს, არამედ თვით უნდა გაილოს რამეო. ბულგარეთის ხალხი თავის ნებით არ დაანებებს არც ერთ მტკაველ მიწას, რომელიც თავისი სისხლით არის მორწყული. სოციალისტი საკიზოვი წინადადებას იძლევა შეეკრათ კავი ოსმალეთთან, რადგანაც მოკავშირეთა შორის გულაცრუება თავს იჩენსო. გეშოვმა უპასუხა შემკითხველებს და აღნიშნა, რომ რუმინია-ბულგარეთის დავის თაობაზე მოლაპარაკება უკვე დასრულებულიაო, იგი დიდ სახელმწიფოთ გადაეცა გადასაწყვეტად. რაც შეეხება ბულგარეთის, სერბიის და საბერძნეთის ურთიერთობას, გეშოვი აღნიშნავს, რომ მათ შორის განხეთქილება არ მომხდარა.

**ლონდონი.** დღეს მოხდა ელჩთა თათბირი ბალკანეთის სახელმწიფოთა საპასუხო ნოტის განსახილველად. მოკავშირეთა საპასუხო ნოტა ელჩთა თათბირზე კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს.

**ლონდონი.** სამხედრო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა 1913—1914 წლ. უდრის 28.220,000 გირ. შარშანდელზე 360,000 გირვანქით მეტი. ფრენის საქმეზე ხარჯთ-აღრიცხვით ნავარაუდევია 243,000 გირ. სტერლინგი.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო ადასტურებს, რომ უმაღლესმა სამხედრო საბჭომ ერთხმად დაადასტურა სამწლიანი სამხედრო სამსახურის შემოღება.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით. ელჩთა თათბირმა განიხილა მოკავშირე სახელმწიფოთა პასუხი და მოთხოვნილებანი. ბალკანეთის სახელმწიფოს მოთხოვნილებანი გადაჭარბებულად მიიჩნიეს. ელჩებს არ ჰგონიათ, ვითომც მოკავშირეთა პასუხის შემდეგ შუამავლობა შეუძლებელი ყოფილიყოს. დიდი სახელმწიფონი ურჩევენ მოკავშირეთ შესცვალონ პირობები ისე, რომ ზავის ჩამოგდება შესაძლებელი გახდეს.

**ვენა.** „რეიხს - პოსტის" ცნობით, 1 მარტს ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა სკუტარის ასაღებად. სკუტარის სიმაგრეებზე და თვით ქალაქშიაც ცეცხლი გაჩნდა.

**ბერლინი.** „ნორდ-დოიტშე-ალგემეინე-ცაიტუნგი" სწერს: ბალკანეთის კავშირის მოთხოვნილებანი ისეთ საკითხებს ეხება, რითიც დაკავშირებულია ევროპის ინტერესებთანო; ამისთვის მათი გადაწყვეტა არ შეიძლება თუ ევროპა მონაწილეობას არ მიიღებსო. ასეთია სკუტარის ბედი ეგეის კუნძულთა და კონტრიბუციის საკითხიო. გაზეთი სწერს, რომ ჩერნოგორია დიდ მსხვერპლსა სწირავს სკუტარის დასაპყრობად, როდესაც მთელი ევროპის სურვილით, სკუტარი მომავალ ალბანეთს უერთდება მიუხედავად იმისა, თუ ვინ დაიპყრობს მას.

**სოფია.** საერთო კრებაზე ოპოზიციამ საყვედური გამოუცხადა მთავრობას, რომ ბოლგარეთ-რუმინიის დავის საკითხში იგი დათმობის გზას დაადგა. რუმინიის მოთხოვნილებას ოპოზიცია დაუყუებას უწოდებს. რადოსლავოვი ამტკიცებს, რომ სალონიკი არ უნდა დარჩეს საბერძნეთსო.

**სოფია.** გეშოვმა და დანევმა მიიღეს სილისტრიის, ბალჩიკის, კავარინის და დოშრიჩის მცხოვრებთა დეპუტაცია, რომელმაც უკმაყოფილება გამოსთქვა რუმინიის ხელში გადასვლის წინააღმდეგ. გეშოვი და დანევი შეჰპირდნენ, რომ ყოველ ღონეს იღონებენ მათ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ხალხს შეუძლიან სრულიად ენდოს დიდ სახელმწიფოთა სამართლიანობას; ისინი არ მოისურვებენ დაანგრიონ ის, რაც 30 წლის განმავლობაში ევროპის და რუსეთის მეცადინეობით შექმნილაო.

**სოფია** დანევი 5 მარტს პეტერბურგში მიდის.

## გაზეთებიდან.

### სერბია და ავსტრია.

ელჩთა ლონდონის კონფერენციას თავ-თავის მთავრობათაგან მიწერილობა მიუვიდა, გამოსთქვით თქვენი აზრი იმ გარემოების შესახებ, რომ სერბია დამხმარე ჯარს უგზავნის ჩერნოგორიას სკუტარის ასაღებადო. ჰფიქრობენ, რომ დიდი სახელმწიფოები საერთო წინადადებას მისცემენ სერბიას, შეაჩერე დამხმარე ჯარის გზავნაო. ასეთი პროტესტის აღძვრის მიზეზად ავსტრიის დიპლომატიას ასახელებენ.

### სკუტარის საკითხი.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ტყუილია, თითქოს რუსეთს თანხმობა განეცხადებინოს ალბანეთის ფარგალში ქ. სკუტარის შეტანისა. ამ საკითხს ელჩთა კონფერენცია განიხილავს იმ საპროტესტო წინადადებასთან ერთად, რომელიც ავსტრიის დიპლომატიამ წარადგინა სერბიის მიერ სკუტარში ჯარის გაგზავნის წინააღმდეგ.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

2—3 მარტი.

### საზღვარ-გარედ

**რომი.** პალატის სხდომები 9 აპრილამდე შესწყვიტეს.

**ტოკიო.** ქვედა პალატამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა, მხოლოდ 5 ხმის უმეტესობით. ოპოზიცია მოითხოვდა 70 მილიონით შეემცირებინათ ხარჯთ-აღრიცხვა. პრესა ოპოზიციას მხარს უჭერს.

**პარიზი.** პარიზში ნაციონალისტებისა და სინდიკალისტების მიტინგი მოხდა, რომელზედაც პროტესტი განაცხადეს სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების გამო.

**ნიუ-იორკი.** ჩრდილო ამერიკის დასავლეთსა და შუაგულში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ზარალი დიდია. დაიღუპა 80 კაცი.

**ფრიდრიხსჰაფენი.** ჰაეროსტატი „ცეპელინი 16" ძლიერ ქარის დროს გაფრინდა. თან ჰქონდა ტყვიის-მფრქვეველი, რომელთაც 500-ჯერ დასცალეს. ეს პირველი ცდა იყო ჰაეროსტატზე ტყვიის-მფრქვეველით სარგებლობისა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა.

### რ უ ს ე თ ი.

**ბოდაიბო.** ლენის რაიონის ოქროს მრეწველთა საბჭომ სახალხო განათლების მინისტრს გადასცა 80,000 მან. და მიწა სარეალო სასწავლებლის და ქალთა გიმნაზიის გასახსნელად.

**პეტერბურგი.** 500 მანეთით დააჯარიმეს „პრავდას" რედაქტორი 5 წერილის „მეოთხე სათათბიროს უნაყოფობის" დაბეჭდვისათვის.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლოს უწყება შეუდგა კორპუსის სასამართლოების დებულებათა განხილვას, რადგანაც სასამართლოში აუარებელი საქმე გროვდება. სამხედრო სასამართლოს უწყებას მიზნად დაუსახავს დეცენტრალიზაცია.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო, გაიმართოს 20 ოქტომბერს 1913 წელს ჰომეოპატიის მიმდევართა კრება.

**პეტერბურგი.** გაზეთ „რეჩის", „რუსკაია მოლვის" და „დენის" რედაქტორები სასამართლოში მისცეს 1034,5 მუხლის ძალით, ჯარის შეურაცხყოფისათვის.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „ტრუდოვოი გოლოსის" მესამე ნომერი.

**სმოლენსკი.** მოვიდა პარიზის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრი ანდრე მარტენი მეუღლით. მარტენი ერთი იმათთაგანია, რომელთაც გადასწყვიტეს 15 წლის განმავლობაში მთელ ქვეყნიერების ფეხით შემოვლა. ისინი გამოვიდნენ პარიზიდან 1907 წელს. მარტენმა გაიარა 150.000 ვერსი. შემოიარო ევროპა, აფრიკა და აზიის ნაწილი. უნდა შემოიაროს დანარჩენი აზია, ამერიკა და ავსტრალია.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი. დიდმარხვის სეზონი.** ქართველ მსახიობთა ამხანაგობა დიდ მარხვის სეზონის გასახსნელად პირველ წარმოდგენას ჰმართავს ხუთშაბათს, 6 მარტს, წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი ისტორიული დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი" (ქეთევან წამებული), რომელშიაც მთავარ როლებს შეასრულებენ ქ-ნი დავითაშვილი, ტასო აბაშიძე, ბ-ნი ვაგუნია, კ. მესხი, დ. მგალობლიშვილი, გედევანოვი და სხვანი. ადგილების ფასი წარმოდგენაზე დაკლებულია.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

## განცხადებანი

### აუქციონი

ქალაქის სააუქციონო კამერა აცხადებს, რომ შვიდს, თერთმეტს და ცამეტს მარტს გაყიდულ იქნება საჯარო ვაჭრობით ძველი საქმეები და წიგნები დილის თერთმეტ საათიდან, ბროსსეს ქუჩაზე სახლი № 2. 127.


სილამაზე უმაღლეს ხარისხამდე!



№ 4711

ვარდის ფერი ბროლის

= ს ა პ ო ნ ი =

კანსა და პირი-სახეს ისეთ სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.

ფერდ. მიულგენსი.

პარფიუმერია № 4711.

კიოლნი ნ. რ. რ ი გ ა.

დაარსებული 1792 წ.

ერთი ნაჭერი 25 კ. ყველგან იშოვება.

Мотцл. 529935 529954 1019

გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „მ ა მ ც ე მ ი" დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა", ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე ახლად შეკეთებული მოწყობილება ყოველ მხრივ დი წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

კნ. სუმბათოვებისა. 1674

ექიმ ნაკაშარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნაკაშარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ალახვერდოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მუღდანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.სა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. სიბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვი უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნ ვახარდიანი. 1604

დ ა კ ა რ გ ე

ახლად შეკერილი ჟილეტი შაბათს, 2 მარტს. მპოვნელსა ვსთხოვ მომიტანოს ფეოდოსიევის ქუჩაზე, № 22. მპოვნელი ჯილდოს მიიღებს.

1093. სერაფიონ ფანცხავა.

ა ხ ლ ა დ გ ა ი ხ ს ნ ა

სამშობიარო თავშესაფარი

ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა

ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე

ექიმი ა. გ. ავეტისოვი.

ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 1018

ფეხსაცმელები

თ ო მ ა დ. ჯ ა ნ ყ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს

მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.



ყ ო ვ ე ლ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 30

თესლეულობა

საუკეთესო ხარისხისა, ნაცადია, არაოდეს არ მოსცდება, ხახვის ღივი, ხენდრო, მცენარეთა ნერგები, ადრეული კარტოფილი. ფასები სინდისიერია.

ს. მ. კოველის თესლეულობის დეპო. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 27. 1087.

მ უ ხ რ ა ნ ი ს კ ე რ ძ ო

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ე ქ ი მ ე ბ ი ს მიერ: | დილით: |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ. | სპეკტოროვი გ. მ. . . . | $8\frac{1}{2}$—$9\frac{1}{2}$ ს. |
| | იაშვილი ა. ო. . . . | 11—12 ს. |
| | ლოლობერიძე გ. მ. . . . | $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ ს. |
| საქირურგო სნეულებანი: | გრიგორიანი ა. ი. . . . | 11—12 ს. |
| | მელკონიანი გ. ა. . . . | 12—1 ს. |
| | ჯაში ი. ი. . . . | $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს. |
| საშარდე და სასქესო სნეულებ. | გრიგორიანი ა. ი. . . . | 11—12 ს. |
| სნეულება საშვილოსნოსი და სხვ. | მიკირტუმოვი . . . | 10—11 ს. |
| | ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა | 11—12 ს. |
| | ლოლობერიძე . . . | $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ ს. |
| ყურის, ცხვირის და ყელის სნეულ. | შაკელნიკოვი გ. ი. . . . | $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606" და „914", ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ცნობილი

პ ა ხ ხ ა ლ ი დ ი ს

აბრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ და უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსავლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა მ. გ. რუსიძე. 1079

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა, თევზის მრეწველნი ძმ. მეზველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი

შავი ხიზილალა


## ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა

პიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 იანვარს, 1013 წელს.

აქტივი (აქვს).

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. კასსა, ნაღდი ფული . . . | | 45086 | 33 |
| 2. სახელდახელო ანგარიში: | | | |
| ა) სახელმწ. ბანკში და ხაზინაში. . . . . . . . | 130,— | | |
| ბ) ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკ. | 338,— | 468 | — |
| 3. სარგებლ. ქაღალ. . . . | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 1254,13 | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. . „ | — — | 1254 | 13 |
| 4. განაღდება თამასუქებისა არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით . | | 47775 | 22 |
| 5. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და ადგ. უზრუნვ. ყოფ. შავ.ქვ. ადგ. . . . . | | 21582 | 29 |
| 6. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ.-ყოფ. თანხა იხ. გ. პას.) | | 5727 | 70 |
| 7. სესხი გაც. გირავ. . . . | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრუნ.-ყოფილ სარგ. . . . . | — — | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრუნ.-ყოფ. მთავ. მიერ . . . | 00,00— | | |
| გ) შავ-ქვაზე . . . . . | 130581,72 | | |
| დ) საქონელზედ . . . . | 222,60 | 130814 | 32 |
| 8. კორესპონდენტ. . . . . | — — | | |
| ა) იმათ ანგარ. (Loro) . . | 3515,72 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. (Nostro) . | 1,00 | 3516 | 72 |
| 9. გერბ. ქაღალდ. და თამ. . . | | 110 | 63 |
| 10. მოწყობა-გამართვა საზოგადოებ. | | 2901 | 87 |
| 11. ხარჯი დასაბრ. . . . . | | 8211 | 06 |
| 12. ზარალი 1905 წ. . . . | | 207 | 61 |
| 13. მიმდინარე ხარჯი . . . | | — | — |
| 14. მიცემული სარგებ. და კომისია. | | — | — |
| ბალანსი. | | 267655 | 88 |

(მმართებს) პასსივი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. თანხა, რაიცა შესდგება 10 პროცენტ. შემ. სასწ. ფულით 217 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რთოდ. საზ. წინაშე . . . | | 18110 | — |
| 2. დასაბრ. საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. | | 361 | 24 |
| 3. თანხა: | | | |
| ა) სათადარიგო . . . | 5528,17 | | |
| ბ) ამორტიზაც . . . | 2340,25 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრუნ.-საყ., შემდეგ 1906—12 წ. მოგებიდან . . . . | 5727,70 | 13596 | 82 |
| 4. შემოტ. ფული: | | | |
| ა) სახელდ. ანგ. . . . | 54122,04 | | |
| ბ) ვადით . . . | 48397,52 | | |
| გ) უვადოთ . . . . | 400,00— | 102919 | 56 |
| 5. განაღდ. თამას. საზოგად. მიერ. | | | |
| ა) სახელ. ბანკის კანტორ. მან. | 10600,00 | | |
| გ) სხვა და სხვა საზოგ. ბანკები. | 15859,— | 26459 | — |
| | | — | — |
| 6. საგანგებო საზ. ანგარ. უზრ.-ყოფ. | | | |
| ა) სარგებლ. ქაღალდ. მან. . | 954,93 | | |
| ბ) შავის ქვის . . . . | 40348,45 | 41303 | 38 |
| 7. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით . . . . . | | 35203 | 06 |
| 8. კორესპონდენტ.: | | | |
| ა) იმათის ანგარ. (Loro) . . | 851,76 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. (Nostro) . | 16285,57 | 17127 | 33 |
| 9. გადასაგზ. შემოტ. ფული . . | | — | — |
| 10. გარდამავ. თანხა . . . . . | | 10449 | 89 |
| 11. სარგებელი მიუღებელი ფულის შემომტანელთა . . . . | | 1598 | 01 |
| 12. $5\%$ პროც. სახელ. გარ. . . | | 304 | 68 |
| 13. წმინდა მოგება 1912 წლისა . | | — | — |
| 14. შემოსული სარგებელი . . | | 22 | 91 |
| ბალანსი. | | 267655 | 88 |

თავმჯდომარე გამგეობისა თავ. ი. გ. აბაშიძე.

ბუღჰალტერი სოფ. ტარუაშვილი.

(1091)

დირექტორები: { ქ. დ. წერეთელი. ნ. ზ. წერეთელი.

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".